ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

დანართის სახით წარმოგიდგენთ ანგარიშს, 2015 წლის 1 იანვრიდან დღემდე, ჩემს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

დანართი: 2 ფურცელი

პატივისცემით,

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი იოსებ მანჯავიძე

№10/18521 04.11.2015

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის
იოსებ მანჯავიძის 2015 წლის ანგარიში

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიამ, რომლის წევრიც გახლავართ, 2015 წლის 16 ოქტომბრის ჩათვლით, ჩაატარა 18 სხდომა, რომლის დროსაც განხილული იქნა კომისიის კომპეტენციაში შემავალი 26 საკითხი, რომლებიც მოიცავდა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურიდან მოწოდებულ პროექტებს, დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალურ გეგმას, "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ პროექტს და ა.შ.

ამასთან, აღსანიშნავია ისეთი საკითხები როგორიცაა: მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს მეწარმეების ან მეწარმეობის დაწყების მსურველების დახმარებას ბიზნესის დაწყებასა და განვითარებაში ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ფარგლებში, რომელიც ხელს შეუწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და არსებულის შენარჩუნება/განვითარებას; "მეწარმეობის მხარდაჭერის" პროგრამის ფარგლებში იაფი ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის ბიუჯეტის პირობებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და პარტნიორ საფინანსო ორგანიზაციას შორის თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ფორმის" დამტკიცების თაობაზე პროექტი; არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "თბილისის მეწარმეობის ხელშეწყობის ცენტრის" შექმნის აუცილებლობისა და მისი მნიშვნელობის, როგორც თბილისში მეწარმეობის განვითარებისა და ეფექტიანობის ხელშეწყობის საკითხი; ტურიზმის სექტორში მოღვაწე ორგანიზაციების ხელშეწყობის პროექტი; ტურიზმის განვითარება, მ.შ. ინკლუზიური ტურიზმის განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს შშმ პირების სრულყოფილ ჩართვას სამოქალაქო აქტივობებში; სოციალური მეწარმეებისა და შშმ პირების საქმიანობის წარმოჩენა და ტურიზმის სექტორში მოღვაწე ორგანიზაციების ხელშეწყობა, ასევე ტურისტული ღირშესანიშნაობების "მობილური გიდი"-ს ფარგლებში ბარკოდებით აღჭურვა, თბილისის მარკეტინგული ლოგოს და სუვენირების გამოსაყენებლად კონკურსის ჩატარება. "მობილური გიდი" მოიცავს ღირშესანიშნაობების შესახებ ხმოვან და ტექსტურ ინფორმაციას; ადგილობრივი და საერთაშორისო ღონისძიებებისათვის საიმიჯო

ლოგოს სიმბოლოთი სუვენირებისა და საიმიჯო მასალების შესყიდვა და გავრცელება; თბილისის გაწევრიანებას "ენერგო ქალაქების" ასოციაციაში. აღნიშნულ პროექტში მონაწილეობით თბილისმა მიიღო დახმარება ენერგოეფექტურობის სტრატეგიის შემუშავებისას, მონაწილეობს სხვადასხვა ევროპულ კამპანიებსა და პროექტებში, უფასოდ მონაწილეობს ყოველწლიურ თემატურ სამუშაო შეხვედრებში, სემინარებში, გენერალურ ასამბლეაში, რათა შესაბამისად მოხდეს ჩვენი დედაქალაქის, როგორც ერთ-ერთი ევროპული ენერგოეფექტური ქალაქის განვითარება.

აგრეთვე, კომისიის სხდომებზე დაიგეგმა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის გაღრმავება, საზღვარგარეთის ქვეყნების დედაქალაქთა მუნიციპალიტეტებთან და თვითმმართველობებთან დაახლოება და შესაბამისი მემორანდუმების თუ ხელშეკრულებების ინიცირება/გაფორმება და თბილისის ეკონომიკური განვითარების კუთხით, მათი გამოცდილების გაზიარება.

ასევე როგორც ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრი, ვმონაწილეობდი აღნიშნული კომისიის 35-მდე სხდომაში, რომლის დროსაც კომისიამ განიხილა 240-მდე საკითხი.

2015 წლის 1 იანვრიდან დღემდე, ვესწრებოდი საკრებულოს სხდომებს, რომლის დროსაც მიღებული იქნა 100-ზე მეტი დადგენილება და 400-მდე განკარგულება.

ჩემს მიერ, შემდგომი განხილვისათვის ინიცირებული იქნა ქ.თბილისის მიწისქვეშა კომუნიკაციების შესწავლისა და რეაბილიტაციის გეგმის პროექტი.

ვარ საკრებულოს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრი.

მონაწილეობას ვიღებ, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ორგანიზებულ, მყარი ნარჩენების მართვის კომისიის შეხვედრებში, რომლის წევრიც გახლავართ.

მივლინებული ვიყავი პოლონეთში, ქალაქ კრაკოვში და ქალაქ კრინიცაში, სადაც მონაწილეობა მივიღე ეკონომიკურ ფორუმში და ევროპის ადგილობრივი თვითმმართველობების კონგრესში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი

იოსებ მანჯავიძე
21.10.2015